



საქმე №1აგ/803-16

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

10 აგვისტო, 2015 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე: მარინა ხოლოაშვილი
მოსამართლეები: სპარტაკ პავლიაშვილი
გიორგი გოგინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ **დ. ლ.-ის** შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

აღწერილობით - სამოტივაციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენით **დ. ლ.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 18 (თვრამეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის განაჩენით **დ. ლ.** გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

დ. ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7



ივლისის განაჩენით **დ. ლ.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (2005 წლის 10 ნოემბრის რედაქციით) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი განახევრდა და **დ. ლ.** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ სასჯელს დაემატა **დ. ლ.** მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 16 წლით, 9 თვით და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წლით, 9 თვით და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით **დ. ლ.** განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 (ოცი) წლისა და 10 (ათი) დღის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო განაჩენის გამოტანის დღიდან - 2008 წლის 7 ივლისიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენში, კერძოდ: მსჯავრდებულ **დ. ლ.** გაუნახევრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 (ექვსი) თვე და განესაზღვრა 3 (სამი) თვე. საბოლოოდ, **დ. ლ.** სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 19 (ცხრამეტი) წლის, 9 (ცხრა) თვის და 10 (ათი) დღის ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 თებერვლის განჩინებით **დ. ლ.-ის** მიმართ გავრცელდა 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, კერძოდ: 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად მსჯავრდებულ **დ. ლ.-ის** ¼-ით შეუმცირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით დანიშნულ სასჯელზე დამატებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 18 (თვრამეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა და ხსენებული მუხლით მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 13 (ცამეტი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით.

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად მსჯავრდებულ **დ. ლ.-ის** ¼-ით შეუმცირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით დანიშნულ სასჯელზე დამატებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“



ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელი 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და ხსენებული მუხლით მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით.

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად მსჯავრდებულ **დ. ლ-ის** $\frac{1}{4}$ -ით შეუმცირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (სსკ-ის 2005 წლის 10 ნოემბრის რედაქცია) დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით და ხსენებული მუხლით მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) თვისა და 15 (თხუთმეტი) დღის ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელიდან მსჯავრდებულ **დ. ლ-ის** მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 14 (თოთხმეტი) წლის, 9 (ცხრა) თვისა და 7 (შვიდი) დღის ვადით. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენი **დ. ლ-ის** მიმართ, მათ შორის სასჯელის მოხდის ვადის ათვლის ნაწილშიც, დარჩა უცვლელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ **დ. ლ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 თებერვლის განჩინება შეიცვალა: **დ. ლ-ის** ერთი მეოთხედით შეუმცირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული 1 წელი და განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე **დ. ლ-ის** აღნიშნული 4 თვე და 15 დღე გაუნახევრდა და განესაზღვრა 2 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა. გასაჩივრებული განჩინება სხვა ნაწილში, მათ შორის საბოლოო სასჯელის დანიშვნის ნაწილში დარჩა უცვლელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 26 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ **დ. ლ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 თებერვლის განჩინებაში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 29 მარტის განჩინებაში შეტანილი იქნა ცვლილება, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნულ სასჯელს - 4 თვით და 15 დღით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3



ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელიდან - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის ნაწილი - 8 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ **დ. ლ-ის** განესაზღვრა 13 წლითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 თებერვლის განჩინება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 29 მარტის განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელი.

2016 წლის 2 აგვისტოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა **დ. ლ-მა** და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯა ითხოვა, რომლის საფუძველად მიუთითა შემდეგი: 2007 წლის 29 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით **დ. ლ-ის** ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ხსენებული განაჩენის დადგენამდე **დ. ლ.** მსჯავრდებული არ ყოფილა სხვა განზრახი დანაშაულისათვის. აღნიშნული ფაქტის დასტურად ადვოკატის მიერ წარმოდგენილია საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ 2016 წლის 11 მაისს გაცემული ცნობა ნასამართლობის შესახებ. შესაბამისად, ადვოკატი თვლის, რომ მსჯავრდებულის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი უნდა გავრცელდეს, რომლის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით, 261-ე მუხლის მე-3 ან/და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედება არ კვალიფიცირდება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების გასაღების ნიშნით, ამასთანავე, ის არ არის ადრე განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, გარდა იმავე კოდექსის XXXIII თავით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულისა, რომელიც ასევე არ კვალიფიცირდებოდა გასაღების ნიშნით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველზე ადვოკატის მიერ მითითებულია საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

სააპელაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველიანობა და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლი ამომწურავად ადგენს იმ შემთხვევებს, რომლის დროსაც სააპელაციო პალატა უფლებამოსილია გადასინჯოს განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი განმარტავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ „არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.“ მოცემულ საქმეზე,



ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა არ დაუდგენია. ამდენად, შუამდგომლობის შინაარსი არ იძლევა შესაძლებლობას გარკვეული იქნეს თუ რის საფუძველზე ითხოვს ადვოკატი საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით შუამდგომლობის დასაშვებად ცნობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში შუამდგომლობა დაუსაბუთებელია და არ შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

რაც შეეხება მსჯავრდებულ **დ. ლ.-ის** მიმართ „ამნისტიის შესახებ“, 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გავრცელებას, უნდა აღნიშნოს შემდეგი: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გამოთხოვილ პირადი საქმეში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/2547 განაჩენიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 29 აგვისტოს, **დ. ლ.** ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 18 (თვრამეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა. ხსენებულ განაჩენში აღნიშნულია, რომ **დ. ლ.**, დაბადებული 1973 წლის 11 მარტს ქ. ახმეტაში, ნასამართლობის მქონეა. შესაბამისად, ნათელია, რომ 2007 წლის 29 აგვისტოს, განაჩენის დადგენის დროს, თბილისის საქალაქო სასამართლო მსჯავრდებულის ნასამართლობაზე მიუთითებს (პირადი საქმე, ტომი I, ს. ფ. 23-24). ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 თებერვლის განჩინების მიხედვით, **დ. ლ.** 2007 წლის 29 აგვისტომდე ნასამართლევია განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის 2001 წლის 20 ნოემბერს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (პირადი საქმე, ტომი I, ს. ფ. 55-58). აღნიშნული მოცემულობებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/2547 განაჩენის დადგენის დროს, 2007 წლის 29 აგვისტოს, **დ. ლ.** იყო ნასამართლობის მქონე განზრახი დანაშაულისათვის. ამდენად, „ამნისტიის შესახებ“, 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლი **დ. ლ.-ის** მიმართ ვერ გავრცელდება, ვინაიდან მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა არ შეესაბამება ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატის შუამდგომლობა ამ ნაწილშიც დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის სსსკ-ის 310-314-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ **დ. ლ.-ის** შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნეს ცნობილი.



განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, მისი გამოტანიდან ორი კვირის ვადაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე:

მარინა ხოლოაშვილი

მოსამართლეები:

სპარტაკ პავლიაშვილი

გიორგი გოგინაშვილი